გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 134

2025 წლის 10 ოქტომბერი
ქ. გორი

ქ. გორში, კეცხოველის ქუჩა №24/ა-ს და №105-ის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია სადგური-ელექტროფიკაციის დასახლების ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. გორში, კეცხოველის ქუჩა №24/ა-ს და №105-ის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობის განთავსება. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით ქ. გორში, კეცხოველის ქუჩა №24/ა-ს და №105-ის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად:1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, კეცხოველის ქუჩა №24/ა-ს და №105-ის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. გორში, კეცხოველის ქუჩა №24/ა-ს და №105-ის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე